საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 3 16 01154510

28/09/2016

ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტში შემოსულ თქვენს 2016 წლის 26 სექტემბრის N1146988 წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (არაუმეტეს ერთი წლის ვადით) გაიცეს, ქ. ლანჩხუთის N1 საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში (ს/კN27.06.56.099) 20 კვ.მ ფართი ლიდერთა სკოლის ფუნქციონირების მიზნით - იმ პირობით, თუ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის N328 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების შემცველი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება;
4. დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნა.

0102 ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.:(+995 32) 2 200 220